საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/131

08 ოქტომბერი, 2020 წელი ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №01-02/100 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების,,,2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის №06-01/64 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილებები ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №01-02/100 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა **ინგლისურ ენაში** (კონკურსანტს მოეთხოვება არანაკლებ B2 დონის ცოდნა) ჩატარდეს დისტანციურად, შემდეგი ვადების გათვალისწინებით:

4.1. გამოცდა - 2020 წლის 7 ოქტომბერს და შედეგები გამოცხადდეს იმავე დღეს - 2020 წლის 7 ოქტომბერს (ბსუ-ს ვებგვერდზე);

4.2 გამოცდის შედეგზე საპრეტენზიო განცხადებების ელექტრონულად წარმოდგენა ბსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე (info@bsu.edu.ge) - 2020 წლის 8 ოქტომბერს, 10:00 საათიდან 14:00 საათის ჩათვლით;

4.3 საპრეტენზიო განცხადებებს პასუხი გაეცეს - 2020 წლის 8 ოქტომბერს და შედეგი ეცნობოს კანდიდატს (მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა/გასაუბრება **სპეციალობაში** ჩატარდეს დისტანციურად (გამოცდა/გასაუბრების დაწყების დრო და გამოცდის ჩატარების ადგილის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე ,,განცხადებების" ველში), შემდეგი ვადების გათვალისწინებით:

5.1. გამოცდა - 2020 წლის 9 ოქტომბერს და შედეგები გამოცხადდეს იმავე დღეს - 2020 წლის 9 ოქტომბერს (ბსუ-ს ვებგვერდზე);
5.2. გამოცდის შედეგზე საპრეტენზიო განცხადებების ელექტრონულად წარმოდგენა ბსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე (info@bsu.edu.ge) - 2020 წლის 12 ოქტომბერს, 10:00 საათიდან 14:00 საათის ჩათვლით;
5.3 საპრეტენზიო განცხადებებს პასუხი გაეცეს 2020 წლის 12 ოქტომბერს და შედეგი ეცნობოს კანდიდატს (კანდიდატის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).".

2. დაევალოს კანცელარიას ბრძანება განათავსოს კანცელარიასთან და სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელ ფაკულტეტებთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხალვაში*